



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
EU4Justice



ინფორმაციის თავისუფლების  
განვითარების ინსტიტუტი

# კვლევა პროკურატურის მიმართ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებისა და ცოდნის შესახებ

## სარჩევი

კვლევა პროკურატურის მიმართ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებისა და ცოდნის შესახებ.....	3
კვლევის შედეგების მოკლე შეჯამება.....	3
შესავალი .....	4
მეთოდოლოგია .....	5
კვლევის შედეგები.....	5
დამოკიდებულება პროკურატურისა და პროკურორების მიმართ .....	5
ცოდნა საქართველოს პროკურატურის შესახებ.....	13
პროკურატურასთან ურთიერთობის გამოცდილება.....	15
პროკურატურის საკომუნიკაციო არხების გამოყენება და მათი შეფასება .....	15
<b>დანართი A - სიხშირის ცხრილები .....</b>	<b>17</b>
<b>დანართი B - ლოგისტიკური და მულტინომინალური ლოგისტიკური რეგრესიის ცხრილები, კროსტაბულაციები.....</b>	<b>42</b>

გამოვითხვა ჩატარდა პროექტის [„პროკურატურის დამოუკიდებლობის ხელშეწყობა მონიტორინგისა და ჩართულობის გზით“](#) ფარგლებში. პროექტი ხორციელდება ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, CRRC-საქართველოსა (CRRC) და სტუდია მონიტორთან თანამშრომლობით. ინიციატივის ფინანსური მხარდაჭერია ევროკავშირი (EU).

წარმოდგენილი მოსაზრებები CRRC-საქართველოს პასუხისმგებლობაა და შესაძლოა, არ ასახავდეს ევროკავშირის, IDFI-სა და სტუდია მონიტორის შეხედულებებს.

# კვლევა პროკურატურის მიმართ საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულებისა და ცოდნის შესახებ

## კვლევის შედეგების მოკლე შეჯამება

„პროკურატურის დამოუკიდებლობის ხელშეწყობა მონიტორინგისა და ჩართულობის გზით“ (PRIME) პროექტის ფარგლებში, რომელსაც „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (IDFI) „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრთან“ (CRRC-საქართველო) და „სტუდია მონიტორთან“ თანამშრომლობით ახორციელებს, CRRC-საქართველომ ჩაატარა საქართველოს სრულწლოვანი მოსახლეობის სატელეფონო გამოკითხვა პროკურატურის მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულებისა და ცოდნის შესახებ. გამოკითხვა 2020 წლის 30 მარტიდან 12 აპრილამდე პერიოდში მიმდინარეობდა. ჩატარდა 1,017 დასრულებული ინტერვიუ. გამოკითხვა ეხებოდა შემდეგ კონკრეტულ საკითხებს:

1. საქართველოს მოსახლეობის შეფასება და დამოკიდებულება პროკურატურისა და პროკურორების მიმართ;
2. მოსახლეობის ცოდნის შესწავლა პროკურატურის მიზნებისა და საქმიანობის შესახებ;
3. პროკურატურასთან მოსახლეობის ურთიერთობის გამოცდილება
4. პროკურატურის საკომუნიკაციო არხების გამოყენება და შეფასება.

გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ **ზოგადად, მოსახლეობა ნდობას უცხადებს საქართველოს პროკურატურას და მის მიზნად, ყველაზე ხშირად, დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას ასახელებს.** პროკურატურის მუშაობას მოსახლეობა ყველაზე ხშირად საშუალოდ აფასებს, ხოლო ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მუშაობის შეფასებისას, მოსახლეობა ყველაზე ხშირად აცხადებს, რომ პროკურატურის მუშაობა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში არ შეცვლილა. მიუხედავად პროკურატურის მიმართ საზოგადოების ნდობისა, **მოსახლეობის მესამედი თვლის, რომ პროკურატურა პოლიტიკური ზეგავლენისგან თავისუფალი არ არის.**

საზოგადოება ნდობას უცხადებს პროკურორებსაც და მათ დადებითად აფასებს. **მოსახლეობის ნახევარზე მეტი აცხადებს, რომ პროკურორები პროფესიონალები და დამოუკიდებლები არიან.** თუმცა, ამავდროულად, მოსახლეობის დაახლოებით მეხუთედმა არ იცის, რამდენად დამოუკიდებლები ან პროფესიონალები არიან პროკურორები საქართველოში. საგულისხმოა, რომ მოსახლეობას პროკურატურის მიმართ დამოკიდებულებებისა და პროკურორების შესაფასებელ კითხვებზე პასუხის გაცემა უჭირს და ხშირად აცხადებს პასუხს „არ ვიცი“. ამ პასუხის მაჩვენებელი კიდევ უფრო იზრდება მაშინ, როცა საქმე პროკურატურის მიმართ ცოდნის შესახებ კითხვებს ეხება.

გამოკითხვის შედეგების მიხედვით, **საქართველოს მოსახლეობის 64%-მა არ იცის, ვინ არის გენერალური პროკურორი.** მესამედზე მცირედით მეტმა არ იცის საქართველოს პროკურატურა რომელიმე სამინისტროს დაქვემდებარებაშია თუ დამოუკიდებელ უწყებას წარმოადგენს. **მოსახლეობის მესამედზე მცირედით მეტს ჰგონია, რომ საქართველოს პროკურატურა**

**იუსტიციის სამინისტროს ან შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაშია.** მიუხედავად ამისა, მოსახლეობის წარმოდგენები სიმართლესთან უფრო ახლოსაა ისეთ კითხვებზე, რაც პროკურატურის მოვალეობებს ეხება.

კვლევის შედეგების მიხედვით, ბოლო 5 წლის განმავლობაში საქართველოს მოსახლეობის 6%-ს ჰქონია შეხება პროკურატურასთან. ეს მაჩვენებელი საკმაოდ მცირეა და არ არის საკმარისი იმისთვის, რომ დადგინდეს პროკურატურაში გამოცდილების ქონის რაიმე გავლენის სტატისტიკური მნიშვნელობა მოსახლეობის დამოკიდებულებაზე პროკურატურის მიმართ.

გამოკითხვაში გამოჩნდა, რომ **მოსახლეობა თითქმის არ იყენებს პროკურატურასთან დაკავშირებულ ისეთ საკომუნიკაციო საშუალებებს, როგორცაა პროკურატურის ვებგვერდი, ფეისბუქ გვერდი და ცხელი ხაზი.** გარდა ამისა, დაბალია მოსახლეობის ინფორმირებულობა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის არსებობის შესახებ. როგორც აღმოჩნდა, **მოსახლეობის მხოლოდ 6% აცხადებს, რომ სმენია მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის შესახებ.**

## შესავალი

პროექტი PRIME ევროკავშირის მიერაა დაფინანსებული და მისი მიზანია საქართველოს პროკურატურის შიდა და გარე დამოუკიდებლობის გაზრდა, საქართველოს საპროკურორო და საგამოძიებო სისტემების მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის უზრუნველსაყოფად.

PRIME-ის ფაგლებში საქართველოს მოსახლეობის გამოკითხვა პროკურატურის მიმართ დამოკიდებულებისა და ცოდნის შესახებ 2020 წლის 30 მარტიდან 12 აპრილამდე პერიოდში ჩატარდა. თავდაპირველად პროექტით გათვალისწინებული იყო მოსახლეობის პირისპირ მეთოდით გამოკითხვა, თუმცა, კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებული საფრთხეებისა და შეზღუდვების გამო, გამოკითხვის მეთოდი სატელეფონო ინტერვიუებით ჩანაცვლდა. საერთო ჯამში, გამოიკითხა 1017 ადამიანი. შედეგები წარმომადგენლობითია საქართველოს სრულწლოვანი მოსახლეობისთვის.

გამოკითხვა იკვლევს, თუ როგორია საქართველოს მოსახლეობის ზოგადი დამოკიდებულება პროკურატურის მიმართ, პროკურატურის შესახებ ცოდნა, პროკურატურასთან ურთიერთობის გამოცდილება, პროკურორების შეფასება, მათ მიმართ დამოკიდებულება და პროკურატურის საკომუნიკაციო არხების გამოყენება. წინამდებარე ანგარიში ამ საკითხებს მიყვება და აანალიზებს საქართველოს მოსახლეობის გამოკითხვის შედეგებს. იგი მოკლედ მიმოიხილავს კვლევის მეთოდოლოგიას და შემდეგ გამოკითხვის შედეგებს წარმოადგენს შემდეგი თავების მიხედვით: (1) დამოკიდებულება საქართველოს პროკურატურისა და პროკურორების მიმართ; (2) ცოდნა საქართველოს პროკურატურის შესახებ; (3) პროკურატურასთან ურთიერთობის გამოცდილება; (4) პროკურატურის საკომუნიკაციო არხების გამოყენება და მათი შეფასება. ანგარიშს თან ერთვის გამოკითხვის შედეგების ცხრილები და ანალიზისას გამოყენებული მულტინომინალური ლოგისტიკური რეგრესიის შედეგების ცხრილები.

## მეთოდოლოგია

სატელეფონო გამოკითხვა საქართველოს მოსახლეობის ცოდნისა და დამოკიდებულების შესახებ პროკურატურის მიმართ 2020 წლის 30 მარტიდან 12 აპრილამდე პერიოდში ჩატარდა.

კვლევა რამდენიმე ეტაპს მოიცავდა. პირველ რიგში, განისაზღვრა საკვლევო თემა და საქართველოს პროკურატურასთან და IDFI-სთან მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავდა კითხვარი. შემდეგ გაკეთდა სატელეფონო ნომრების შერჩევა შემთხვევითი (ე.წ. random digit dialling მეთოდით) წესით და დაიწყო გამოკითხვა. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემები დამუშავდა (მონაცემთა ბაზა გაიწმინდა და შეიწონა დემოგრაფიულ ჯგუფებში რესპონდენტების განაწილების მიხედვით) და გაანალიზდა.

კვლევამ მოიცვა ქვეყნის სრულწლოვანი, ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენაზე მოსაუბრე მოსახლეობა, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობის გარდა. მთლიანობაში გამოკითხა 1,017 ადამიანი სატელეფონო ინტერვიუს მეთოდით. შერჩევა წარმომადგენლობითი იყო საქართველოს (ეთნიკური უმცირესობებით დასახლებული პუნქტებისა და ოკუპირებული ტერიტორიების გარდა), ასევე დედაქალაქის, სხვა ქალაქებისა და სოფლების მოსახლეობის დონეზე. შერჩევის დროს გამოყენებული იყო შემთხვევითი წესით გენერირებული სატელეფონო ნომრების სია. ცდომილების საშუალო მაჩვენებელი ქვეყნის დონეზე 2.1%-ს შეადგენს.

## კვლევის შედეგები

საქართველოს სრულწლოვანი მოსახლეობის გამოკითხვის შედეგები გაანალიზებულია შემდეგი თემების მიხედვით: დამოკიდებულება პროკურატურისა და პროკურორების მიმართ, პროკურატურისა და მისი საქმიანობის შესახებ ცოდნა, პროკურატურასთან ურთიერთობის გამოცდილება და პროკურატურის საკომუნიკაციო არხების გამოყენება.

### დამოკიდებულება პროკურატურისა და პროკურორების მიმართ

სატელეფონო გამოკითხვის ერთ-ერთი ამოცანა საქართველოს პროკურატურისა და პროკურორების მიმართ ხალხის დამოკიდებულების გამოვლენა იყო. უნდა აღინიშნოს, რომ ისეთ კითხვებზე, რაც პროკურატურისა და პროკურორების მიმართ დამოკიდებულებების გამოვლენას ემსახურება, რესპონდენტებს ხშირად პასუხი არ აქვთ.

კვლევის შედეგების მიხედვით, საქართველოს სრულწლოვანი მოსახლეობის დიდი ნაწილი (44%) აცხადებს, რომ აინტერესებს საქართველოს პროკურატურის საქმიანობა. თუმცა, ამავდროულად მოსახლეობის ნახევარზე მეტი (54%) ამბობს, რომ პროკურატურის საქმიანობა არ აინტერესებს.<sup>1</sup> (იხ. დანართი A, ცხრილი 2)


**კითხვაზე, თუ რა მიზანს ემსახურება პროკურატურა დღეს საქართველოში, მოსახლეობა ყველაზე ხშირად პასუხობს, რომ ის დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას ემსახურება.** რიგით

<sup>1</sup> მონაცემები წარმოდგენილია დაჯამებული სახით. პასუხის ვარიანტები „მაინტერესებს“ და „უფრო მაინტერესებს, ვიდრე არ მაინტერესებს“ გაერთიანდა პასუხის ვარიანტში „მაინტერესებს“; ხოლო „არ მაინტერესებს“ და „უფრო არ მაინტერესებს, ვიდრე მაინტერესებს“ - პასუხის ვარიანტში „არ მაინტერესებს“.

მეორე ყველაზე ხშირად დასახელებული პასუხი ადამიანის უფლებების დაცვაა (17%). მოსახლეობის თითქმის იგივე წილი აცხადებს, რომ პროკურატურა დღეს საზოგადოებრივი წესრიგის დამყარებას ემსახურება. მცირე ნაწილი ამბობს, რომ პროკურატურა მთავრობის ინტერესების დაცვას ემსახურება. აქვე აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის მეხუთედზე მცირედით მეტმა არ იცის, რა მიზანს ემსახურება პროკურატურა დღეს საქართველოში. (იხ. დიაგრამა 1)

**დიაგრამა 1**

**თქვენი აზრით, რა მიზანს ემსახურება პროკურატურა დღეს საქართველოში? (%)**




გამოკითხვის დროს რესპონდენტებს სთხოვდნენ, შეეფასებინათ ნდობა რამდენიმე დაწესებულებისა და პროფესიული ჯგუფის მიმართ (იუსტიციის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, პროკურატურა, პროკურორები, სასამართლო, ადვოკატები, გამომძიებლები, მოსამართლეები). კვლევის შედეგების მიხედვით, მოსახლეობა ნდობას უცხადებს თითოეულ დაწესებულებასა თუ პროფესიულ ჯგუფს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ საზოგადოება ყველაზე მეტად იუსტიციის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ენდობა (77%; 73%)<sup>2</sup>. (იხ. დანართი A, ცხრილი 1\_1;1\_2 .)

<sup>2</sup> მონაცემები წარმოდგენილია დაჯამებული სახით. პასუხის ვარიანტები „სრულად ვენდობი“ და „უფრო ვენდობი, ვიდრე არ ვენდობი“ გაერთიანდა პასუხის ვარიანტში „ვენდობი“; ხოლო „საერთოდ არ ვენდობი“ და „უფრო არ ვენდობი, ვიდრე ვენდობი“ - პასუხის ვარიანტში „არ ვენდობი“.

რაც შეეხება პროკურატურას, საქართველოში საზოგადოებრივი აზრი მის მიმართაც ნდობისკენ იხრება. მოსახლეობის მეხუთედი აცხადებს, რომ სრულად ენდობა პროკურატურას, დაახლოებით ორჯერ მეტი კი აცხადებს, რომ უფრო ენდობა, ვიდრე არ ენდობა მას. აღსანიშნავია, რომ საზოგადოების მეათედს კითხვაზე პასუხი არ აქვს. (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამა 2

### რამდენად ენდობით ან არ ენდობით საქართველოს პროკურატურას? (%)



რეგრესიული ანალიზის<sup>3</sup> შედეგებმა აჩვენა, რომ პროკურატურის მიმართ ნდობაზე გავლენა აქვს ისეთ დემოგრაფიულ მახასიათებლებს, როგორცაა დასახლების პუნქტი და დასაქმების სტატუსი. მეტია იმის ალბათობა, რომ დედაქალაქთან შედარებით სხვა ქალაქებში და განსაკუთრებით კი სოფლის მაცხოვრებლებმა პროკურატურის მიმართ ნდობა გამოხატონ. ასევე უფრო მოსალოდნელია, რომ დაუსაქმებლებთან შედარებით, დასაქმებულებმა განაცხადონ, რომ ენდობიან პროკურატურას.

გარდა დემოგრაფიული მახასიათებლებისა, პროკურატურის მიმართ ნდობაზე გავლენა აქვს იმ ფაქტორსაც, აინტერესებს თუ არა მოსახლეობას პროკურატურის საქმიანობა. მათ შემთხვევაში, ვინც აცხადებს, რომ პროკურატურის საქმიანობა აინტერესებს, უფრო მაღალია ალბათობა, რომ

<sup>3</sup> ანალიზისთვის გამოყენებულია მულტინომინალური ლოგისტიკური რეგრესია.

მის მართ ნდობა გამოხატოს, ვიდრე მათ შემთხვევაში, ვისაც პროკურატურის საქმიანობა არ აინტერესებს.


საგულისხმოა ისიც, რომ ნაკლებად მოსალოდნელია, რომ ისინი, ვისაც ჰგონია, რომ პროკურატურა ამჟამად იუსტიციის ან შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაშია, ენდობოდნენ პროკურატურას იმათთან შედარებით, ვინც სწორ პასუხს ირჩევს, რომ საქართველოს პროკურატურა ამჟამად დამოუკიდებელი სტრუქტურაა. გარდა ამისა, მათ შემთხვევაში, ვინც არ იცის პროკურატურა დაქვემდებარებული სტრუქტურაა თუ დამოუკიდებელი, უფრო მაღალია ალბათობა, რომ განაცხადოს, რომ არ იცის, ენდობა თუ არა პროკურატურას მათთან შედარებით, ვინც ამბობს, რომ პროკურატურა დამოუკიდებელი სტრუქტურაა. ამის მსგავსად, ვინც არ იცის, ამჟამად გენერალური პროკურორი ვინ არის, უფრო მოსალოდნელია განაცხადონ, რომ არ იცის, ენდობიან თუ არა პროკურატურას (იხ. დანართი B, ცხრილი 1)

მიუხედავად პროკურატურის მიმართ საზოგადოების ნდობისა, მოსახლეობის აზრი იყოფა, როცა საქმე პროკურატურაზე პოლიტიკურ გავლენებს ეხება. საზოგადოების დაახლოებით მეხუთედი აცხადებს, რომ საქართველოს პროკურატურა პოლიტიკური ზეგავლენისგან ძირითადად თავისუფალი არ არის. **მოსახლეობის შედარებით დიდი წილი მიიჩნევს, რომ პროკურატურა პოლიტიკური ზეგავლენისგან ძირითადად თავისუფალია და დაახლოებით მეათედი აცხადებს, რომ პროკურატურა პოლიტიკური ზეგავლენისგან საერთოდ არ არის თავისუფალი.** საგულისხმოა, რომ მოსახლეობის მეხუთედზე მცირედით მეტს კითხვაზე პასუხი არ აქვს (იხ. დიაგრამა 3).

**დიაგრამა 3**



გთხოვთ, მითხრათ, რამდენად თავისუფალია ან არ არის თავისუფალი დღესდღეობით საქართველოს პროკურატურა პოლიტიკური ზეგავლენისგან? (%)



რეგრესიული ანალიზის<sup>4</sup> შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა ასაკს, განათლების დონესა და დასახლების ტიპს გავლენა აქვს რესპონდენტთა მოსაზრებაზე, რამდენად თავისუფალია ან არ არის თავისუფალი პროკურატურა პოლიტიკური ზეგავლენისგან. უფრო მოსალოდნელია, რომ ახალგაზრდებთან<sup>5</sup> შედარებით, 35-54 წლამდე ასაკის ადამიანებმა იშვიათად თქვან, რომ პროკურატურა პოლიტიკური გავლენისგან თავისუფალია. მათ შემთხვევაში, ვისაც საშუალო ან საშუალოზე დაბალი განათლება აქვთ, უმაღლესი განათლების მქონე ადამიანებთან შედარებით, უფრო მოსალოდნელია, იშვიათად განაცხადონ, რომ პროკურატურა პოლიტიკური გავლენისგან თავისუფალი არ არის. ხოლო, სოფლად მაცხოვრებლებმა, დედაქალაქში მაცხოვრებლებთან შედარებით, უფრო მოსალოდნელია განაცხადონ, რომ პროკურატურა პოლიტიკური ზეგავლენისგან თავისუფალია.

რეგრესიული ანალიზის შედეგები აჩვენებს იმასაც, რომ ისინი, ვინც არ იცის შემდეგი დებულებებიდან რომელია სწორი - საქართველოს პროკურატურა ამჟამად იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაშია, საქართველოს პროკურატურა ამჟამად შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაშია, საქართველოს პროკურატურა ამჟამად დამოუკიდებელი სტრუქტურაა - უფრო მოსალოდნელია, იშვიათად განაცხადონ, რომ პროკურატურა პოლიტიკური გავლენებისგან თავისუფალია. ამასთანავე, მათ, ვინც არ იცის, რომელი დებულებაა სწორი,

<sup>4</sup> ანალიზისთვის გამოყენებულია მულტინომინალური ლოგისტიკური რეგრესია.

<sup>5</sup> ახალგაზრდებში იგულისხმება 18-34 ასაკობრივ კატეგორიაში შემავალი ადამიანები.

მოსალოდნელია, უფრო ხშირად განაცხადონ, რომ არ იციან, რამდენად თავისუფალია ან არ არის თავისუფალი პროკურატურა პოლიტიკური გავლენებისგან. (იხ. დანართი B, ცხრილი 2).

კვლევისთვის საინტერესო იყო იმის დადგენაც, თუ როგორ აფასებს მოსახლეობა პროკურატურის მუშაობას. სატელეფონო გამოკითხვის შედეგების მიხედვით, **მოსახლეობის 44% აცხადებს, რომ პროკურატურა კარგად მუშაობს**, მოსახლეობის მცირედით ნაკლები 39% პროკურატურის მუშაობას საშუალოდ აფასებს, ხოლო თითქმის მეათედი ამბობს, რომ პროკურატურა ცუდად მუშაობს (9%). ასევე, დაახლოებით მეათედს (8%) ამ კითხვაზე პასუხი არ აქვს.<sup>6</sup> (იხ. დანართი A, ცხრილი 4).

რეგრესიული ანალიზის<sup>7</sup> შედეგები აჩვენებს, რომ ისეთ დემოგრაფიულ მახასიათებლებს, როგორიცაა რესპონდენტთა სქესი, ასაკი, დასახლების პუნქტი, დასაქმების სტატუსი და განათლების დონე პროკურატურის მუშაობის შეფასებისას გავლენა აქვს.

უფრო მოსალოდნელია, რომ დედაქალაქის მაცხოვრებლებთან შედარებით, სხვა ქალაქებში და განსაკუთრებით სოფლებში მაცხოვრებლებმა უფრო ხშირად განაცხადონ, რომ პროკურატურა კარგად მუშაობს. ასევე უფრო მოსალოდნელია, რომ საშუალო ტექნიკური/სპეციალური განათლების მქონე ადამიანებმა, უმაღლესი განათლების მქონეებთან შედარებით განაცხადონ, რომ პროკურატურა კარგად მუშაობს. 55 წელს გადაცილებულმა ადამიანებმა კი ახალგაზრდებთან შედარებით, უფრო მოსალოდნელია განაცხადონ, რომ პროკურატურა ცუდად მუშაობს. გარდა ამისა, მეტია შანსი, რომ ქალებმა და დასაქმებულებმა იშვიათად განაცხადონ, რომ პროკურატურა ცუდად მუშაობს. (იხ. დანართი B, ცხრილი 3).


**რაც შეეხება პროკურატურის ბოლო ხუთი წლის მუშაობის შეფასებას, მოსახლეობის 40% აცხადებს, რომ პროკურატურის მუშაობა არ შეცვლილა.** საზოგადოების მესამედზე მცირედით მეტი მიიჩნევს, რომ იგი გაუმჯობესდა, ხოლო მეათედის აზრით, პროკურატურის მუშაობა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში გაუარესდა (იხ. დიაგრამა 4).

#### დიაგრამა 4

<sup>6</sup> მონაცემები 5-ქულიანი სკალიდან დაჯგუფდა 3-ქულიანი სკალაზე. პასუხის ვარიანტები „ძალიან კარგად“ და „კარგად“ გაერთიანდა პასუხის ვარიანტში „კარგად“; ხოლო „ძალიან ცუდად“ და „ცუდად“ - პასუხის ვარიანტში „ცუდად“. პასუხის ვარიანტი „საშუალოდ“ დარჩა იგივე პასუხის ვარიანტად.

<sup>7</sup> ანალიზისთვის გამოყენებულია მულტინომინალური ლოგისტიკური რეგრესია.

თქვენი აზრით, ბოლო 5 წლის განმავლობაში, საქართველოში პროკურატურის მუშაობა გაუმჯობესდა, იგივე დარჩა თუ გაუარესდა? (%)



ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ პროკურატურის მუშაობა გაუმჯობესდა, ამ გაუმჯობესებას ძირითადად პროკურატურის საქმიანობის მეტ გამჭვირვალობასა და ოპერატიულად მუშაობას მიაწერენ. ხოლო ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ პროკურატურის მუშაობა გაუარესდა, ამის მიზეზად პროკურატურის მიერ გამოძიებების უფრო მიკერძოებულად წარმართვას ასახელებენ. (იხ. დანართი A, ცხრილი 9;10).

*დამოკიდებულება პროკურორების მიმართ*

რესპონდენტების დამოკიდებულების შესასწავლად კითხვები არამხოლოდ ზოგადად პროკურატურას შეეხებოდა, არამედ კონკრეტულად პროკურორებსაც.

სატელეფონო გამოკითხვის შედეგების მიხედვით, **საზოგადოების უმრავლესობა (61%) ნდობას უცხადებს პროკურორებს**. მეოთხედზე მცირედით მეტი (27%) არ ენდობა მათ და დაახლოებით მეთათედმა (11%) არ იცის, ენდობა თუ არა პროკურორებს საქართველოში.<sup>8</sup> (იხ. დანართი A, ცხრილი 1\_4)


<sup>8</sup> მონაცემები წარმოდგენილია დაჯამებული სახით. პასუხის ვარიანტები „სრულად ვენდობი“ და „უფრო ვენდობი, ვიდრე არ ვენდობი“ გაერთიანდა პასუხის ვარიანტში „ვენდობი“; ხოლო „საერთოდ არ ვენდობი“ და „უფრო არ ვენდობი, ვიდრე ვენდობი“ - პასუხის ვარიანტში „არ ვენდობი“.

საგულისხმობა, რომ მოსახლეობა კიდევ უფრო გადაუწყვეტელია და მათი დაახლოებით მეხუთედი ვერ სცემს პასუხს კითხვაზე მაშინ, როცა საქმე უშუალოდ პროკურორების შეფასებას ეხება.

**საზოგადოების დაახლოებით ნახევარი აცხადებს, რომ პროკურორები ძირითადად დამოუკიდებლები არიან.** საპირისპიროს მოსახლეობის დაახლოებით მეხუთედი ამბობს. რაც შეეხება პროკურორების პროფესიონალიზმს, მოსახლეობის უმრავლესობა აცხადებს, რომ პროკურორები ძირითადად პროფესიონალები არიან. მეათედს კი მიაჩნია, რომ ისინი ძირითადად არაპროფესიონალები არიან. (იხ. დიაგრამა 5)

**დიაგრამა 5**

გთხოვთ, მითხრათ, რამდენად დამოუკიდებლები არიან ან არ არიან პროკურორები საქართველოში? (%)



გთხოვთ, მითხრათ, რამდენად პროფესიონალები ან არაპროფესიონალები არიან პროკურორები საქართველოში? (%)



შეინიშნება განსხვავება სოფლად მაცხოვრებლებისა და დედაქალაქის მაცხოვრებლების მოსაზრებებს შორის პროკურორების დამოუკიდებლობასა და პროფესიონალიზმზე. დედაქალაქის მაცხოვრებლებთან შედარებით სოფელში მაცხოვრებლები უფრო ხშირად აცხადებენ, რომ პროკურორები დამოუკიდებლები და პროფესიონალები არიან. (იხ. დანართი B, ცხრილი 5.1; 6.1).

## ცოდნა საქართველოს პროკურატურის შესახებ


საქართველოს პროკურატურისა და პროკურორების მიმართ ზოგადი დამოკიდებულებების გამოვლენის გარდა, გამოკითხვა საშუალებას გვაძლევს, გარკვეულწილად შევაფასოთ მოსახლეობის ცოდნა პროკურატურის შესახებ. საგულისხმოა, რომ ისევე როგორც პროკურატურისა და პროკურორების მიმართ დამოკიდებულებების გამოვლენისას, ცოდნის შეფასების დროსაც, მოსახლეობას ხშირად კითხვებზე პასუხი არ აქვს.

**საქართველოს სრულწლოვანი მოსახლეობის უმრავლესობამ (64%) არ იცის, ვინ არის დღეს საქართველოს გენერალური პროკურორი.** თითქმის მესამედი (31%) სწორად, ხოლო დანარჩენი ნაწილი (4%) არასწორად ასახელებს გენერალური პროკურორის ვინაობას. (იხ. დანართი A , ცხრილი 13).

გამოკითხვის დროს რესპონდენტებს ჩამოუთვალეს რამდენიმე დებულება პროკურატურაზე და სთხოვეს ეპასუხათ, თუ რომელი მათგანი შეესაბამებოდა სიმართლეს. **მოსახლეობის 29% სწორად პასუხობს, რომ დებულება - საქართველოს პროკურატურა ამჟამად დამოუკიდებელი სტრუქტურაა - სიმართლეს შეესაბამება.** დაახლოებით მეხუთედი ფიქრობს, რომ საქართველოს პროკურატურა ამჟამად შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაშია, ხოლო 15%-ს ჰგონია, რომ საქართველოს პროკურატურა ამჟამად იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაშია. მოსახლეობის დაახლოებით მესამედი აცხადებს, რომ არ იცის, ამ სამი დებულებიდან რომელი შეესაბამება სიმართლეს. (იხ. დიაგრამა 6)

### დიაგრამა 6


თქვენი აზრით, ჩამოთვლილთაგან რომელი შეესაბამება სიმართლეს? (%)



**რაც შეეხება პროკურატურის მოვალეობებს, მოსახლეობას მეტ-ნაკლებად სწორი ცოდნა აქვს მათ შესახებ.** გამოკითხვის დროს რესპონდენტებს ჩამოუთვალეს საქმიანობები და სთხოვეს, ეპასუხათ, მათგან რომლები შედიოდა პროკურატურის მოვალეობაში. ყველზე ხშირად სახელდება, რომ პროკურატურის მოვალეობა სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელება, გამოძიება და გამოძიების პროცესის ზედამხედველობაა. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობის მეხუთედზე მეტს ჰგონია, რომ პროკურატურის მოვალეობაში შედის განაჩენის გამოტანა იმის შესახებ, დამნაშავეა თუ არა ბრალდებული. გარდა ამისა, 15% აცხადებს, რომ სამოქალაქო საქმეებზე მტკიცებულებების შეგროვება პროკურატურის მოვალეობაა. ამასთანავე საზოგადოების მეხუთედზე მეტმა არ იცის, თუ რა საქმიანობები შედის პროკურატურის მოვალეობაში. (იხ. დიაგრამა 7)

**დიაგრამა 7**

**თქვენი აზრით, ჩამოთვლილი საქმიანობებიდან რომელი შედის პროკურატურის მოვალეობაში? (%)**



შენიშვნა: რესპონდენტებს შეეძლოთ დაესახელებინათ ყველა პასუხის ვარიანტი. შესაბამისად, პასუხების პროცენტული მაჩვენებლები 100%-ად არ ჯამდება.

## პროკურატურასთან ურთიერთობის გამოცდილება

კვლევისთვის საინტერესო იყო მოსახლეობის იმ ნაწილის გამოვლენა, რომელსაც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პროკურატურასთან რაიმე შეხება ჰქონია. ეს შეხება შეიძლებოდა, ჰქონოდა თავად რესპონდენტს, მისი ოჯახის წევრს, ახლო მეგობარს ან ახლო ნათესავს.

გამოკითხვის შედეგების თანახმად, **საქართველოს სრულწლოვანი ქართულენოვანი მოსახლეობის მხოლოდ 6% აცხადებს, რომ მას, მისი ოჯახის წევრს ან ახლო მეგობარს ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ჰქონია რაიმე შეხება პროკურატურასთან** და ძირითადად მათი სტატუსი დაზარალებული იყო. მათგან, ვისაც შეხება ჰქონია პროკურატურასთან, მესამედზე მცირედით მეტი აცხადებს, რომ საქმე მათ/მათი ახლობლის სასარგებლოდ დასრულდა; დაახლოებით ნახევარი ამბობს, რომ საქმე მათ/მათი ახლობლის სასარგებლოდ არ დასრულებულა და დაახლოებით მეათედი უარს ამბობს კითხვაზე პასუხის გაცემაზე. რესპონდენტების წილი თითქმის თანაბრად იყოფა, როდესაც ისინი პროკურორებს მათ/მათი ახლობლის საქმეზე მუშაობის პროცესში აფასებენ. ნაწილი აცხადებს, რომ პროკურორმა საქმეზე პროფესიონალურად იმუშავა, ნაწილი კი საპირისპიროს ამტკიცებს.

გამოკითხვის დროს რესპონდენტებს ჰკითხეს, მიუმართავთ თუ არა პროკურატურისთვის საჩივრით რომელიმე პროკურორის წინააღმდეგ. როგორც აღმოჩნდა, გამოკითხულთაგან პროკურატურისთვის ამგვარი საჩივრით თითქმის არავის მიუმართავს. (იხ. დანართი A, ცხრილები 14;15;16;16a;17;18)

## პროკურატურის საკომუნიკაციო არხების გამოყენება და მათი შეფასება

კვლევისთვის ასევე საინტერესო იყო, დაედგინა, რამდენად აქტიურად იყენებს ხალხი პროკურატურასთან დაკავშირებულ საკომუნიკაციო და საინფორმაციო საშუალებებს და ხედავენ თუ არა რაიმე ხარვეზს მათში.


სატელეფონო გამოკითხვის მიხედვით, **მოსახლეობის მხოლოდ 1%-ს გამოუყენებია პროკურატურის ვებგვერდი და ფეისბუქ გვერდი.** 2% აცხადებს, რომ არ იცოდა, რომ პროკურატურას ვებგვერდი ან ფეისბუქ გვერდი ჰქონდა, ხოლო საზოგადოების დანარჩენი ნაწილი ამბობს, რომ პროკურატურის ვებგვერდი ან ფეისბუქ გვერდი არ გამოუყენებია. **მათგან, ვისაც პროკურატურის ვებგვერდი გამოუყენებია, უმრავლესობა აცხადებს, რომ ვებგვერდზე ინფორმაციის მოძიება მარტივია.** (იხ. დანართი A, ცხრილები 19; 20;21).

რაც შეეხება პროკურატურის ცხელ ხაზს, ვებგვერდისა და ფეისბუქ გვერდების მსგავსად, ამ შემთხვევაშიც **ძალიან ცოტაა იმ ადამიანთა წილი (1%), ვინც აცხადებს, რომ გამოუყენებია პროკურატურის ცხელი ხაზი.** 7% ამბობს, რომ არ იცოდა პროკურატურის ცხელი ხაზის არსებობის შესახებ; 91% კი აცხადებს, რომ არ გამოუყენებია ცხელი ხაზი. **მათგან, ვისაც პროკურატურის ცხელი ხაზი გამოუყენებია, უმრავლესობა კმაყოფილია მომსახურებით.** მცირე ნაწილი, ვინც ცხელი ხაზის მომსახურებით უკმაყოფილოა, უკმაყოფილების მიზეზად სასურველი ინფორმაციის ვერ მიღებას ასახელებს. (დანართი A, ცხრილი 22;23;24).

გამოკითხვის დროს რესპონდენტებს ჰკითხეს, სმენიათ თუ არა მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის შესახებ. როგორც აღმოჩნდა, **მოსახლეობის 6%-ს მოწმისა და**

**დაზარალებულის კოორდინატორის სამსახურის შესახებ სმენია** და მათგან ყველაზე ხშირად აცხადებენ, რომ კოორდინატორის სამსახურის ფუნქცია სისხლის სამართლის საქმის მსვლელობასთან დაკავშირებით მოქალაქისთვის ინფორმაციის მიწოდება, საქმის მსვლელობისას მოქალაქისათვის ხელმისაწვდომი სერვისების შეთავაზება და, მოქალაქის ან პროკურორის სურვილის შემთხვევაში, პროკურორისა და მოქალაქის შეხვედრის ორგანიზებაა.

**თქვენი ინფორმაციით, რა ფუნქციები აქვს კოორდინატორის სამსახურს? (%)**



შენიშვნა: რესპონდენტებს შეეძლოთ, დაესახელებინათ ყველა პასუხის ვარიანტი. შესაბამისად, პასუხების პროცენტული მაჩვენებლები 100%-ად არ ჯამდება.



## დანართი A - სიხშირის ცხრილები

შენიშვნა: მეთოდების დამრგვალების გამო, შესაძლოა, მონაცემები ზოგჯერ ზუსტად 100%-ად არ ჯამდებოდეს.

### ცხრილი1\_1

<b>1_1. ახლა დაგისახელებთ რამდენიმე დაწესებულებას და პროფესიულ ჯგუფს. გთხოვთ, შეაფასოთ თქვენი ნდობა ყოველი მათგანის მიმართ. რამდენად ენდობით ან არ ენდობით იუსტიციის სამინისტროს?</b>	<b>(%)</b>
საერთოდ არ ვენდობი	6
უფრო არ ვენდობი, ვიდრე ვენდობი	10
უფრო ვენდობი, ვიდრე არ ვენდობი	43
სრულად ვენდობი	34
(არ ვიცი)	7
(უარი პასუხზე)	0
სულ:	100

### ცხრილი1\_2

<b>1_2. ახლა დაგისახელებთ რამდენიმე დაწესებულებას და პროფესიულ ჯგუფს. გთხოვთ, შეაფასოთ თქვენი ნდობა ყოველი მათგანის მიმართ. რამდენად ენდობით ან არ ენდობით შინაგან საქმეთა სამინისტროს?</b>	<b>(%)</b>
საერთოდ არ ვენდობი	7
უფრო არ ვენდობი, ვიდრე ვენდობი	11
უფრო ვენდობი, ვიდრე არ ვენდობი	46
სრულად ვენდობი	28
(არ ვიცი)	8
(უარი პასუხზე)	1
სულ:	100

ცხრილი1\_3

1_3. ახლა დაგისახელებთ რამდენიმე დაწესებულებას და პროფესიულ ჯგუფს. გთხოვთ, შეაფასოთ თქვენი ნდობა ყოველი მათგანის მიმართ. რამდენად ენდობით ან არ ენდობით საქართველოს პროკურატურას?	(%)
საერთოდ არ ვენდობი	9
უფრო არ ვენდობი, ვიდრე ვენდობი	16
უფრო ვენდობი, ვიდრე არ ვენდობი	43
სრულად ვენდობი	20
(არ ვიცი)	10
(უარი პასუხზე)	1
სულ:	100

ცხრილი 1\_4

1_4. ახლა დაგისახელებთ რამდენიმე დაწესებულებას და პროფესიულ ჯგუფს. გთხოვთ, შეაფასოთ თქვენი ნდობა ყოველი მათგანის მიმართ. რამდენად ენდობით ან არ ენდობით პროკურორებს?	(%)
საერთოდ არ ვენდობი	9
უფრო არ ვენდობი, ვიდრე ვენდობი	18
უფრო ვენდობი, ვიდრე არ ვენდობი	41
სრულად ვენდობი	20
(არ ვიცი)	11
(უარი პასუხზე)	1
სულ:	100

ცხრილი 1\_5

1_5. ახლა დაგისახელებთ რამდენიმე დაწესებულებას და პროფესიულ ჯგუფს. გთხოვთ, შეაფასოთ თქვენი ნდობა ყოველი მათგანის მიმართ. რამდენად ენდობით ან არ ენდობით სასამართლოს?	(%)
--	-----

საერთოდ არ ვენდობი	10
უფრო არ ვენდობი, ვიდრე ვენდობი	16
უფრო ვენდობი, ვიდრე არ ვენდობი	42
სრულად ვენდობი	21
(არ ვიცი)	10
(უარი პასუხზე)	1
სულ:	100

ცხრილი 1\_6

<b>1_6. ახლა დაგისახელებთ რამდენიმე დაწესებულებას და პროფესიულ ჯგუფს. გთხოვთ, შეაფასოთ თქვენი ნდობა ყოველი მათგანის მიმართ. რამდენად ენდობით ან არ ენდობით ადვოკატებს?</b>	(%)
საერთოდ არ ვენდობი	7
უფრო არ ვენდობი, ვიდრე ვენდობი	14
უფრო ვენდობი, ვიდრე არ ვენდობი	50
სრულად ვენდობი	19
(არ ვიცი)	9
(უარი პასუხზე)	0
სულ:	100

ცხრილი 1\_7

<b>1_7. ახლა დაგისახელებთ რამდენიმე დაწესებულებას და პროფესიულ ჯგუფს. გთხოვთ, შეაფასოთ თქვენი ნდობა ყოველი მათგანის მიმართ. რამდენად ენდობით ან არ ენდობით გამომძიებლებს?</b>	(%)
საერთოდ არ ვენდობი	8
უფრო არ ვენდობი, ვიდრე ვენდობი	16
უფრო ვენდობი, ვიდრე არ ვენდობი	45
სრულად ვენდობი	20
(არ ვიცი)	10
(უარი პასუხზე)	1
სულ:	100

ცხრილი 1\_8

<b>1_8. ახლა დაგისახელებთ რამდენიმე დაწესებულებას და პროფესიულ ჯგუფს.</b>	(%)
---	-----

<b>გთხოვთ, შეაფასოთ თქვენი ნდობა ყოველი მათგანის მიმართ. რამდენად ენდობით ან არ ენდობით მოსამართლეებს?</b>	
საერთოდ არ ვენდობი	9
უფრო არ ვენდობი, ვიდრე ვენდობი	18
უფრო ვენდობი, ვიდრე არ ვენდობი	42
სრულად ვენდობი	19
(არ ვიცი)	11
(უარი პასუხზე)	0
სულ:	100

ცხრილი 2

<b>2. გთხოვთ მითხრათ, რამდენად გაინტერესებთ საქართველოს პროკურატურის საქმიანობა?</b>	<b>(%)</b>
მაინტერესებს	21
უფრო მაინტერესებს, ვიდრე არ მაინტერესებს	23
უფრო არ მაინტერესებს, ვიდრე მაინტერესებს	24
არ მაინტერესებს	30
(არ ვიცი)	2
(უარი პასუხზე)	0
სულ:	100

ცხრილი 3

<b>3. თქვენი აზრით, რა მიზანს ემსახურება პროკურატურა დღეს საქართველოში?</b>	<b>(%)</b>
დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა	27
საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება	16
ადამიანის უფლებების დაცვა	17
პოლიტიკური ანგარიშსწორება	1
მთავრობის ინტერესების დაცვა	6
სხვა (მიუთითეთ)	8
(არ ვიცი)	25
(უარი პასუხზე)	1
სულ:	100

ცხრილი 3\_სხვა

<b>3_სხვა. თქვენი აზრით, რა მიზანს ემსახურება პროკურატურა დღეს საქართველოში - სხვა?</b>	<b>(%)</b>
სამართლიანობა	28
